



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

10

**ჩრდილოეთი კავკასია – საქართველოს  
პრობლემური სამეზობლო**

*ირაკლი მენაღარიშვილი*



**ექსპერტის აზრი**

**2013**



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## **ექსპერტის აზრი**

ირაკლი მენაღარიშვილი

**ჩრდილოეთი კავკასია – საქართველოს  
პრობლემური სამეზობლო**

**10**

**2013**



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2013 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-5826-4

რეგიონული თანამშრომლობა, განსაკუთრებით კი ურთიერთობა უშუალო სამეზობლოსთან, საქართველოს საგარეო პოლიტიკის უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე მგრძობიარე ასპექტია. ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთლიანად კავკასია დაძაბულობის არეალად იქცა და საქართველოსაც, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, თავისი ეროვნული პროექტის ფორმირებაც და განხორციელებაც კვლავ ამ რთულ გარემოცვაში მოუხდა.

ამ გარემოცვის ერთი მნიშვნელოვანი, რთული და ამასთან საინტერესო ელემენტი ჩრდილოეთი კავკასიაა. ეთნიკურად და რელიგიურად მრავალფეროვანი ეს ჩრდილოკავკასიური სამეზობლო იმითაც არის განსაკუთრებული, რომ იგი საქართველოს დიდი მეზობელი ქვეყნის – რუსეთის – შემადგენელი ნაწილია და ამავდროს რუსეთის ფედერაციის, ალბათ, ყველაზე პრობლემური ნაწილი. რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის რთული ხასიათის გათვალისწინებით ადვილი გასაგებია, თუ რა მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის საერთოდ ჩრდილოეთ კავკასიისა და კონკრეტულად მისი ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულისადმი სწორი პოლიტიკური მიდგომის, დიალოგის კორექტული ტონის შერჩევას. ვფიქრობთ, ეს ნარკვევი დაინტერესებულ მკითხველს დაეხმარება ჩვენი ჩრდილოეთ სამეზობლოს რეალობათა სწორად გაგებაში.

ნარკვევი მომზადდა სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტში ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

## **I. ჩრდილოეთი კავკასია – ზოგადი მიმოხილვა**

ჩრდილოეთი კავკასია რუსეთის იმპერიას მე-19 საუკუნეში კავკასიური ომების შედეგად შეუერთდა.

ჩრდილოეთი კავკასია ტერიტორიულად რუსეთის 2,1 პროცენტს შეადგენს, მაგრამ აქ რუსეთის მოსახლეობის 11,8 პროცენტი ცხოვრობს.

რეგიონი შვიდი, ისტორიულად ჩრდილოკავკასიური ეთნოსით დასახლებული რესპუბლიკისაგან შედგება: ადიღე, ყარაჩაი-

ჩერქეზეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, ინგუშეთი, ჩეჩნეთი და დაღესტანი. მკვლევარები მას ხშირად ორ ნაწილად ყოფენ: აღმოსავლეთი ნაწილი – დაღესტანი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი; დასავლეთი ჩრდილოკავკასია – ადიღე, ყარაჩაი-ჩერქეზეთი და ჩრდილოეთი ოსეთი. საინტერესოა, რომ ყაბარდო-ბალყარეთს ზოგი დასავლეთს, ხოლო ზოგი კი აღმოსავლეთს მიაკუთვნებს.

რეგიონი საკმაოდ ჭრელია ეთნიკური თვალსაზრისით, განსაკუთრებით დაღესტანი, სადაც ათობით განსხვავებული ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს.

წინა საუკუნის 90-იან წლებში ჩრდილო კავკასიაში, რუსეთის დანარჩენ რეგიონებთან შედარებით, ყველაზე აქტიური იყო ცენტრიდანული პროცესები, მაგრამ დროთა განმავლობაში თანდათანობით შემცირდა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. დღეს მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ რეგიონში ეთნიკური სეპარატიზმი აღარც კი არსებობს და რომ ეთნიკურმა სეპარატიზმმა რეალიზაცია რელიგიურ სეპარატიზმში ჰპოვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მკვლევარი რელიგიურ ექსტრემიზმს რეგიონის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მიიჩნევს.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ისლამური ფუნდამენტალიზმი გამოყენებულ იქნა, რათა ანტირუსულ მოძრაობას მოეცვა მთელი ჩრდილოეთი კავკასია. დღეისათვის რეგიონში მოქმედებს კოორდინირებული, ე.წ. ისლამური იატაკქვეშეთი, რომელსაც სათავეში უდგას თვითგამოცხადებული ემირი დოკუ უმაროვი და რომელსაც „იმარატ-კავკაზი“ („კავკასიური საემირო“) ეწოდება.

თავიდანვე ტერიტორია, რომელზედაც პრეტენზიას აცხადებს იმარატი, ექვს სუბიექტად, ვილაიათად, იყო გაყოფილი. მასში შევიდნენ: დაღესტანი, ნოხჩიჩო (ჩეჩნეთი), გალგაიჩე (ინგუშეთი), ირისტონი (ჩრდილო ოსეთი), ნოლაის ტრამალი (სტავროპოლის მხარე) და, ასევე, ყაბარდოს, ბალყარეთის და ყარაჩაის გაერთიანებული ვილაიათი.

საემიროს მოქმედების ძირითადი ფორმა ტერორიზმია. ტერაქტების რაოდენობის მიხედვით რუსეთს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში, ხოლო ტერაქტების 80 პროცენტზე მეტი ჩრდილოეთ კავკასიაზე მოდის. ტერორიზმმა რეგიონში განსაკუთრებულად რადიკალური და ხშირი ფორმა მიიღო, მაგალითად, თვითმკვლელი ქალი ტერორისტების სახით. ზოგიერთი მონაცემით, ბოლო სამი წლის მანძილზე მთლიანად რუსეთის

მასშტაბით დაახლოებით 900 ტერორისტულ აქტი განხორციელდა. კლანურობა დამახასიათებელია ჩრდილოკავკასიური მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის ძირითადი ნაწილისათვის. კლანების ბრძოლაში ამა თუ იმ ფორმით ჩართულია თითქმის მთელი მოსახლეობა. მიიჩნევენ, რომ ჩრდილოკავკასიურ კლანებს ინტენსიური კორუფციული კონტაქტები აქვთ ჩინოვნიკებთან ფედერალურ დონეზე, რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებთან. კლანების ბრძოლა ჩრდილო კავკასიაში ორგანულადაა ჩასმული რუსეთის მთლიან, მძლავრ კორუფციულ სისტემაში, რომელსაც რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა თავის გამოსვლაში რუსეთთან შედარებითაც კი ზღვარს გადასული (запредельная) უწოდა.

რეგიონში შედარებითი სტაბილურობის მიღწევის ერთ-ერთი ფორმა იყო და კვლავაც რჩება ცენტრის მიერ ადგილობრივი მმართველების დანიშვნა და მათი არაოფიციალური დაფინანსება (ფედერალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ხარჯები არა უშუალოდ რეგიონს, არამედ ამ რეგიონის მმართველი ელიტის ლოიალობის ყიდვას ხმარდება).

ხელისუფლების მიერ გამოყენებული სიტუაციის დარეგულირების ძალადობრივი ფორმა ისეთ რეგიონში, როგორც ჩრდილოეთი კავკასია, სადაც თუნდაც ჯერ კიდევ მოქმედებს სისხლის აღების წესი, შობს ახალ ძალადობას. ყველაფერი ეს ინვესტ ეკონომიკური არამდგრადობის გახანგრძლივებას, მოსახლეობის უმუშევრობას და სიღატაკეს.

ამით საბოლოოდ ისარგებლა რადიკალურ-ისლამისტურმა მოძრაობამ და საზოგადოების უკმაყოფილების რეალიზაციის გზად დასახა „იმარატ კავკაზის“ სახით შარიათის კანონებზე დამყარებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება და უმუშევარი ახალგაზრდობის „ჯიჰადის“ მებრძოლებად გადაქცევა.

## **ბოლო დროის ზოგიერთი ძირითადი ტენდენცია**

სპეციალისტების აზრით, რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევამ გარკვეული შედეგები მოიტანა:

1. რუსეთი ცდილობს საერთაშორისო საზოგადოებას დაუმტკიცოს, რომ რეგიონში მოქმედი ტერორისტული დაჯგუფება საერთაშორისო ხასიათისაა. რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა

სასამართლომ „იმარატ კავკაზი“ საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა. ამ ფორმით რუსეთმა ნაწილობრივ შეძლო საკუთარი ქმედება ჩრდილოეთ კავკასიაში გაემართლებინა ტერორიზმთან ბრძოლის მოტივით (ა. მალაშენკო).

2. დასრულდა ჩეჩნეთის მეორე ომი, თანაც არა იმდენად ეფექტური ანტიტერორისტული ოპერაციის ხარჯზე, რამდენადაც თავად ტერორისტებს შორის განხეთქილებით და რამდენიმე მათგანის გადაბირებით რუსეთის მხარეს (კადიროვები კრემლის განსაკუთრებულ მიღწევად ითვლება).
3. რუსეთმა შეძლო ეთნიკური სეპარატიზმის ორგანიზაციული ფორმის განადგურებას. როგორც აღინიშნა, სეპარატისტების ნაწილმა დატოვა რეგიონი, ხოლო მეორე ნაწილი ისლამური სეპარატიზმისათვის ბრძოლას შეუერთდა.
4. მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ეფექტური ადგილობრივი მმართველების დანიშვნა, რომლებიც ლოიალური არიან ცენტრისადმი და იმავდროულად რეგიონში გარკვეულ წარმატებებს აღწევენ.

ამასთან, მოუგვარებელია რეგიონის პრობლემათა მნიშვნელოვანი ნაწილი:

1. ცენტრმა ვერ მოახერხა სტაბილურობის გამყარება და ჩეჩნეთის პრობლემების „მოგვარებისას გამორჩა“ დაღესტნის, ინგუშეთის და სხვათა სირთულეების მოგვარების აუცილებლობა.
2. მნიშვნელოვან შეცდომას წარმოადგენს რეგიონული პოლიტიკის პერსონალიზაცია.
3. კვლავინდებურად მოუგვარებელია ტერორიზმის საკითხი რეგიონში, რომელთან ბრძოლის ერთადერთ ფორმას დღემდე წარმოადგენს ძალისმიერი პოლიტიკის წარმოება.

2010 წლის 29 მარტს მთელი მსოფლიო შესძრა მოსკოვში განხორციელებულმა ტერაქტებმა. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ თანამედროვე კაცობრიობა საერთო პრობლემის წინაშე დგას და ტერორიზმი არის საფრთხე, რომელიც ნებისმიერ ადამიანს თანაბარი საშიშროების წინაშე აყენებს. თუმცა რუსი

ექსპერტი მიიჩნევს, რომ რუსეთის შემთხვევაში პრობლემა გაცილებით სერიოზულია: „და მაინც, რუსეთისათვის ტერორიზმი, ალბათ, უფრო რთულ პრობლემას წარმოადგენს, ვიდრე ევროპისა და ამერიკისათვის. ჩრდილო კავკასია, რადიკალური ისლამის ბუდე, მდებარეობს ჩვენი ქვეყნის საზღვრების ფარგლებში“ (მ. ლიპმანი).

## **II. ჩრდილო კავკასია, როგორც ფაქტორი ქართულ-რუსულ ურთიერთობებში**

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის უკანასკნელი ორი ათეული წლის ისტორია (საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ) მოწმობს, რომ ჩრდილო კავკასიამ ამ ურთიერთობათა განვითარებაში განსაკუთრებული და დრამატული ადგილი დაიჭირა.

ქართველ და ჩრდილოკავკასიელ ხალხებს ერთმანეთთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აკავშირებთ. თანაარსებობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხები ბუნებრივი მოკავშირენი იყვნენ.

რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის პროცესი დაიწყო 1801 წელს საქართველოს ანექსიით. რუსული არმიის მიერ ჩრდილოკავკასიელთა და, მათ შორის, იმამ შამილის წინააღმდეგ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წარმოებულ ბრძოლაში რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფ ქართველთა ნაწილიც მონაწილეობდა.

მიუხედავად ამგვარი ვითარებისა, ქართველმა და ჩრდილოკავკასიელმა ხალხებმა ერთმანეთთან კავშირი XIX საუკუნეშიც შეინარჩუნეს.

XIX საუკუნის დასაწყისიდან თბილისი გადაიქცა კავკასიელ ხალხთა ისტორიის, კულტურისა და ეთნოგრაფიის მეცნიერული კვლევის ცენტრად. ჩრდილო კავკასიელთა მასობრივი გადასახლებების (მუჰაჯირობა) პროცესი და მისი შედეგები ვრცლად აისახა იმდროინდელ ქართულ პრესაში, საიდანაც ჩანს, რომ მთიელთა ტრაგედიას ქართველები გულისტკივილითა და თანაგრძნობით შეხვდნენ.

საბჭოთა კავშირის პერიოდში ჩრდილოკავკასიური ერები და საქართველო ერთი ავტოკრატიული სახელმწიფოს ფარგლებში



აღმოჩნდნენ, მაგრამ რადგან საბჭოეთის ეროვნული პოლიტიკის შესაბამისად ქართული და ჩრდილოკავკასიური კულტურული ურთიერთობები პოლიტიკურად სანქცირებული იყო, ორვე მხარემ ეს შესაძლებლობა სრულად გამოიყენა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ თანამშრომლობის ნამდვილ ცენტრად იქცა. იგი დღესაც ერთადერთი უნივერსიტეტია მსოფლიოში, სადაც კავკასიურ ენათა ყველა ჯგუფია წარმოდგენილი: აფხაზურ-ადიღეური, ნახური და დაღესტნური. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უბიხური ენის კურსიცაა, რისი ანალოგიც სხვაგან არსად გვხვდება.

### **კონფლიქტები კავკასიაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ის დაძაბულობა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში არსებობდა, ღია კონფლიქტებში გადაიზარდა. არაერთ შემთხვევაში კავკასიის ტერიტორიაზე ამ კონფლიქტებმა სისხლიანი დაპირისპირების სახე მიიღო, ამასთან კავკასიის ნებისმიერ ნერტილში მიმდინარე კონფლიქტი, როგორც წესი, აისახებოდა მთელ კავკასიაზე.

საბჭოთა კავშირის ფაქტობრივ დაშლამდე საქართველოში უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა. 1988-1989 წლებში საქართველოში ძალას იკრებს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც რუსეთი უპირისპირებს კავკასიური ეთნოსების – აფხაზებისა და ოსების – ფაქტორს.

90-იანი წლების დასაწყისში ჩრდილო კავკასიაში სეპარატისტული მოძრაობის გაძლიერებამ საქართველოში გააჩინა იმედი, რომ საკუთარი პრობლემების გამო რუსეთი შეცვლიდა სოხუმისა და ცხინვალის სეპარატისტული მოძრაობების მხარდაჭერის პოლიტიკას.

ჩრდილო კავკასიის მოსახლეობაში ბევრი ადამიანი გულწრფელად ფიქრობდა, რომ „დაჩაგრულ ძმებს – ოსებს და აფხაზებს“ უნდა დახმარებოდა, მაგრამ საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევის ორგანიზაციის ხასიათი და დახარჯული რესურსების რაოდენობა ნათლად აჩვენებდა, რომ ამ საქმეში რუსეთის სპეცსამსახურები არა მარტო ჩართული, არამედ ძირითადი მოთამაშეებიც კი იყვნენ.

1989 წელს ჩრდილო კავკასიაში ჩამოყალიბდა „კავკასიის

მთიელ ხალხთა კონფედერაცია“, რომელმაც თავისი პირველი ყრილობა სოხუმში ჩაატარა. თავიდანვე ცხადი იყო ამ ორგანიზაციის ანტიქართული მიმართულება. მაგალითად, საქართველოს კანონიერ ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე თავისი შტაბ-ბინის ადგილად კონფედერაციამ ქალაქი სოხუმი გამოაცხადა. ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია“ რუსეთის სპეცსამსახურების მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ იმართებოდა საქართველოს წინააღმდეგ ჩრდილოკავკასიური ფაქტორის ასამოქმედებლად.

1990 წელს საქართველოში ფაქტობრივად შეიცვალა ხელისუფლების ხასიათი. საბჭოთა კავშირის ოფიციალურ დაშლამდე საქართველოს მოსახლეობამ საკუთარი ნაციონალური მოძრობის ლიდერი, ზვიად გამსახურდია, საბჭოთა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია. 1991 წლის აპრილში საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო ამავე წელს, დეკემბერში, სსრკ დაიშალა და საქართველო ოფიციალურად გახდა დამოუკიდებელი.

ჯერ კიდევ 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ხოლო 1991 წლის მარტში, პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას განკარგულებით, ცხინვალში შევიდა საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარის ნაწილი. მალე მათ სხვა არაფორმალური შეიარაღებული ფორმირებები დაემატა. დაიწყო ქართულ-ოსური კონფლიქტი. საქართველოდან რუსეთს, განსაკუთრებით კი ჩრდილო ოსეთს, 40 ათასზე მეტი დევნილი მიადგა. ტერიტორიული პრეტენზიების გამო ოსურ-ინგუშურ კონფლიქტში საქართველოდან დევნილმა ადამიანებმა რადიკალური ანტიინგუშური პოზიცია დაიკავეს და ხელი შეუწყვეს ინგუშთა განდევნას მათი საცხოვრებელი ადგილებიდან. ჩრდილო კავკასია და საქართველო ერთმანეთის შიდა კონფლიქტებში უშუალოდ ჩართული აღმოჩნდა.

პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას დროს საქართველოს ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის გამოკვეთილი მიმართულება იყო ახლო ურთიერთობის დამყარება ჩეჩნეთის რესპუბლიკასთან.

საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას მეთაურობით ცდილობდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მყარი საფუძვლის შექმნას ჩრდილო კავკასიელების და, კერძოდ, ჩეჩნეთის მხარდაჭერით. საქართველო

იმედოვნებდა, რომ ოსებთან დაპირისპირებაშიც ის თავის მხარეს დაიყენებდა ჩეჩნებს, როგორც ინგუშების მონათესავე ეთნოსს. ამასთან, 1991 წელს პრეზიდენტებმა ზ. გამსახურდიამ და ჯ. დუდაევმა ერთობლივად წამოაყენეს კავკასიური კონფედერაციის იდეა. მასში აფხაზეთს „განსაკუთრებული როლი“ ენიჭებოდა. ამით ასევე უნდა მოგვარებულიყო აფხაზეთის საკითხიც.

ეს იყო ზ. გამსახურდიას მცდელობა ჩრდილოკავკასიური ფაქტორი გამოეყენებინა როგორც შიდა პრობლემების მოსაგვარებლად, ისე ქართულ-რუსულ ურთიერთობებში საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსათვის ეს იყო საკუთარი სისუსტის გადალახვის წყურვილით გამონვეული აქტი. ჩეჩნეთისათვის კი ეს იყო კავშირის შესაძლებლობა გარე სამყაროსთან, რადგან საქართველო სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

ბუნებრივია, რომ ამგვარი პოლიტიკით ზ. გამსახურდია დაუპირისპირდა რუსეთის ხელმძღვანელობას, რაც კიდევ ერთი მიზეზი გახდა იმისა, რომ 1991 წლის სამოქალაქო ომში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებმა მხარი დაუჭირეს ხელისუფლებიდან მის ძალადობრივი გზით მოშორებას. დევნილმა პრეზიდენტმა გამსახურდიამ საბოლოოდ გროზნოში დაიღო ბინა. ფაქტობრივად, ამით ჩრდილოკავკასიური ფაქტორის ამოქმედების კიდევ ერთი პოტენციური პირობა შეიქმნა.

1991 წელს, როცა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთის სეპარატისტულ ძალებს შორის დაპირისპირება გამწვავდა, კავკასიელ მთიელთა კონფედერაციამ მოუწოდა რუსეთის ხელისუფლებას „მიეცა პოლიტიკური შეფასება“ ქართულ-აფხაზეთური კონფლიქტისათვის.

ქართულ სახელმწიფოსთან ჩრდილო კავკასიელთა დაპირისპირების ყველაზე მწვავე გამოვლინება უკავშირდება ქართულ-აფხაზეთურ შეიარაღებულ კონფლიქტს, რომელიც 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო საბჭოს შეიარაღებული ფორმირებების შეყვანით დაიწყო. ამავე თვეს გროზნოში გამართულ ყრილობაზე, როგორც მრავალი ექსპერტი თავის შეფასებებში აღნიშნავს, „საბოლოოდ გაცხადდა კონფედერაციის შექმნის მიზანი“. მან მობილიზაცია გამოაცხადა აფხაზეთის დასახმარებლად საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად. ყრილობის მიერ მიღებულ დეკლარაციაში

კვითხულობთ: „რადგან არ არსებობს სხვა გზა გაყვანილ იქნეს საქართველოს ოკუპაციური ჯარი აფხაზეთიდან, ჩვენ ვადგენთ: 1. კონფედერაციის ყველა ცენტრალურმა ორგანიზაციამ უნდა გააგზავნოს მოხალისეები აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო წინააღმდეგობის გასანევადად. 2. კონფედერაციის სამხედრო ფორმაციებმა უნდა აწარმოონ სამხედრო ოპერაციები ნებისმიერი ძალის წინააღმდეგ, რომ შეჩერდეს მათი შეჭრა აფხაზეთში. 3. თბილისი გამოცხადდეს უბედურების ზონად. 4. ქართული ნაციონალიზმის ყველა ადამიანი კონფედერაციის ტერიტორიაზე უნდა იქცეს მძევლად 5. უნდა გაჩერდეს ყველა ტიპის ტვირთი, რომელიც საქართველოსკენ მიემართება. 6. მოხსენება მზადყოფნის შესახებ უნდა გაიგზავნოს ცენტრალურ ორგანოში 1992 წლის აგვისტომდე“.

უნდა ითქვას, რომ კონფედერაციის ამ მოწოდებებთანავე რუსეთის დანარჩენ ტერიტორიაზე, როგორც აღნიშნავენ, ვლადივოსტოკშიც კი, დაიწყო მოხალისეთა მობილიზაცია აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მაშინ, როდესაც რუსეთი ფართომასშტაბიან გამანადგურებელ ომს აწარმოებდა ჩეჩენი ხალხის წინააღმდეგ, კონფედერაციას არ გადაუდგამს არც ერთი ნაბიჯი „ჩეჩენი ძმების“ დასაცავად. ფაქტობრივად, აფხაზეთის ომის შემდეგ კონფედერაციას არ დარჩა ადგილი ჩრდილოკავკასიურ პოლიტიკაში.

1990-1993 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე ორმა კონფლიქტმა გამოიწვია საქართველოს საკმაოდ მძაფრი დაპირისპირება ჩრდილო კავკასიასთან: ოსეთის კონფლიქტის გამო – ჩრდილო ოსეთთან, ხოლო აფხაზეთის გამო – ადიღეურ-ჩერქეზულ ეთნოსთან უშუალოდ და ამის შედეგად – მთელ ჩრდილო კავკასიასთან, რადგანაც ამ ომში აფხაზეთის მხარეს იბრძოდნენ ჩრდილოკავკასიური წარმოშობის თითქმის ყველა ეთნოსის წარმომადგენლები, როგორც მოხალისეები, ისე დაქირავებულები. განსაკუთრებით მასობრივი იყო ყაბარდოელთა და, ასევე, კაზაკთა მილიციის შენაერთების მონაწილეობა საომარ მოქმედებებში. სეპარატისტების მხარეს იბრძოდა ჩრდილო ოსეთის ბატალიონიც.

1993 წლის სექტემბერში დაეცა აფხაზეთის დედაქალაქი სოხუმი. ქართულმა სამთავრობო ჯარებმა მძიმე დამარცხება განიცადეს. აფხაზი სეპარატისტების და ჩრდილო კავკასიელების შენაერთებთან ერთად ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა რუსეთის

რეგულარული სამხედრო შენაერთები, მათ შორის, სპეციალური დანიშნულების რაზმები.

ამ დამარცხებას დიდი მსხვერპლი მოჰყვა, 250 ათასი ადამიანი კი დევნილად იქცა.

### **ჩეჩნეთის ომები და საქართველო. პანკისის მოვლენები**

პანკისის ხეობაში და მის ირგვლივ განვითარებული მოვლენები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ჩრდილო კავკასიის ფაქტორის მოქმედების ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ეპიზოდია. რაც მთავარია, დაძაბულობა და ურთიერთბრალდებები პანკისის თემის გარშემო დღესაც აქტუალურია. დროდადრო საქართველოს კვლავ ადანაშაულებენ იმაში, რომ ის ხელს უწყობს „ტერორისტი ბოევიკების“ გადამზადებას საკუთარ ტერიტორიაზე და, უფრო მეტიც, აფინანსებს მათ.

1994 წლის დეკემბერში დაწყებულმა ჩეჩნური სეპარატიზმის სამხედრო გზით დაძლევის მცდელობამ შედეგი არ მოუტანა რუსეთის ხელისუფლებას. ორწლიანი სისხლიანი ბრძოლების შემდეგ რუსეთის არმია იძულებული იყო დაეტოვებინა ჩეჩნეთი.

1997 წელს ასლან მასხადოვი, ჩეჩნეთის მიერ არჩეული და რუსეთის ოფიციალური პირების მიერ აღიარებული პრეზიდენტი, ჩავიდა მოსკოვში და პრეზიდენტ ელცინთან მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, რომელშიც მხარეები ვალდებულებას იღებდნენ ყველა სადავო საკითხი რუსეთის ფედერაციასა და ჩეჩნეთს შორის მშვიდობიანი გზებით გადაეწყვიტათ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელშეკრულებას ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის გაფორმებული დოკუმენტის ფორმა ჰქონდა, რეალურად, როგორც ისტორიკოსი ჯიბრაილ გაკაევი აღნიშნავს: „სახელმწიფო იჩქერია არ შედგა არც საერთაშორისო-სამართლებრივი აღიარების (დე იურე) და არც საჯარო ხელისუფლების ინსტიტუტების მშენებლობისა და ადამიანთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით“.

საქართველომ, რომელსაც სამოქალაქო ომი ახლადგამოვლილი ჰქონდა და ცდილობდა მოეპოვებინა შიდა სატბილურობა, მოახერხა არ ყოფილიყო ჩათრეული რუსეთ-ჩეჩნეთის დაპირისპირებაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ოფიციალურად არ უღიარებია ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა,

როგორც პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, ასევე ასლან მასხადოვი შეეცადნენ ჩეჩნეთსა და საქართველოს შორის ახლებური ურთიერთობების დამყარებას.

1997 წლის აგვისტოში ასლან მასხადოვი თბილისს ეწვია და შეხვედრები და მოლაპარაკებები გამართა ქვეყნის პირველ პირებთან. იმავე წელს თბილისში ჩამოვიდა ჩეჩნეთის პარლამენტის დელეგაცია. გაგრძელდა მოლაპარაკებები ორი კავკასიელი ხალხის საქმიან კავშირებზე მათი შემდგომი დაახლოების მიზნით. მოლაპარაკებებში დასმულ იქნა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხიც. მასხადოვმა გამოთქვა სინანული ჩეჩნების აფხაზეთის ომში მონაწილეობის გამო.

ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის მმართველობის ძირითადი პრობლემა გახდა ის, რომ ვერ მოხერხდა ჩეჩნეთის დეკრიმინალიზაცია. ქვეყანა ამ პერიოდში სამართალდამრღვევთა სათარეშო ადგილად იქცა.

1999 წლის 7 აგვისტოს მოხდა ჩეჩენ მებრძოლთა მასირებული შეჭრა დაღესტანში შამილ ბასაევის ხელმძღვანელობით, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა, ხოლო სექტემბერში რუსეთის რამდენიმე ქალაქში საცხოვრებელი სახლების აფეთქება მოხდა, რაც ასევე ჩეჩენ ბოევიკებს მიანერეს.

პრეზიდენტი ა. მასხადოვი მაშინვე გაემიჯნა ამ ტერორისტულ აქტებს. თუმცა ის ღიად არ გაემიჯნა შამილ ბასაევს და არ გადასცა ტერორიზმში ეჭვმიტანილები რუსეთის მართლმსაჯულებას. მისმა სპეციალურმა წარმომდგენელმა მოსკოვში მ. ვაჩაგაევმა ეს იმით ახსნა, რომ ა. მასხადოვი ხელმძღვანელობდა რუსეთის მაგალითით, რომელმაც არც ერთხელ არ აიღო პასუხისმგებლობა თავისი მოქალაქეების მოქმედებებზე, რომლებიც სამხედრო დახმარებას უწევდნენ სეპარატისტულ ძალებს საქართველოს ტერიტორიაზე – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

1999 წლის ოქტომბერში რუსეთმა ჩეჩნეთში კვლავ დაიწყო სამხედრო მოქმედებები, რომლებსაც ტერორიზმის განადგურების ოპერაცია უწოდა. ეს ოპერაცია ცნობილია ჩეჩნეთის მეორე ომის სახელით.

ჩეჩნეთის II ომის დროს რუსეთის ხელისუფლება მაქსიმალურად შეეცადა, რომ ამა თუ იმ ფორმით ამ ომში ჩაეთრია საქართველო.

თავდაპირველად, ომის დაწყებიდან სულ რამდენიმე



დღეში, რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა პრეზიდენტ ე. შევარდნაძეს სთხოვა, ნება მიეცა რუსეთის სამხედრო ბაზები ჩეჩნეთზე შეტევისათვის გამოეყენებინათ.

ამ დროს რუსეთის პრემიერი უკვე ვლადიმერ ვ. პუტინი იყო და ამ ომში წარმატება მისი გაპრეზიდენტების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ამიტომ ვ. პუტინმა საკუთარი დიპლომატიური, თუ სხვა არხებით სცადა საქართველოს დაყოლიება, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე საქართველოს მხრიდან რუსეთის სასაზღვრო ჯარები განეთავსებინა.

როგორც იმ დროს სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე იხსენებს, პუტინი სანაცვლოდ თანახმა იყო მდინარე ფსოუზე ქართველი მესაზღვრეები დაეყენებინა. საქართველომ ამ წინადადებაზე უარი თქვა ჯერ ერთი იმიტომ, რომ არ იყო ნდობა რუსეთის მიმართ. გარდა ამისა ესმოდათ, რომ საზღვართან რუსეთის ჯარის ჩაყენების გამო შეიძლებოდა მთელი კავკასია დაპირისპირებოდა საქართველოს და კონფლიქტი საქართველოში გადმოსულიყო.

ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში საქართველოსაკენ დაიძრა ჩეჩენი ლტოლვილების დიდი ნაკადი... არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათი საქართველოს ტერიტორიაზე გამოდევნა მიზანმიმართულად ხდებოდა. ამ ნაკადში იყვნენ ის ქისტები, რომელთაც ჰქონდათ საქართველოს მოქალაქეობა, მაგრამ სწავლობდნენ ან მუშაობდნენ ჩეჩნეთში, იყვნენ ქისტები, რომლებიც საქართველოში დაიბადნენ, მაგრამ რუსეთის მოქალაქეობა მიიღეს და იყვნენ ჩეჩნები, რომელთაც საქართველოსთან არ ჰქონდათ კავშირი. უკვე ნოემბერში ქვეყანაში 5000 ადამიანი ჩამოვიდა.

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის მონაცემებით, საქართველომ სულ 8000 ლტოლვილი მიიღო. ამათგან დევნილის ოფიციალური სტატუსი მხოლოდ რუსეთის მოქალაქეებს მიენიჭა.

საქართველოს გადაწყვეტილებამ გზა არ მიეცათ რუსეთის ჯარისათვის, ძალიან დაძაბა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, თუმცა ამ ურთიერთობის დინამიკა იმ დროისათვის ისედაც გართულებისაკენ მიდიოდა.

საქმე ის იყო, რომ ამ დროისათვის საქართველომ დაიწყო საკუთარი, რუსეთისაგან დამოუკიდებელი, პოლიტიკის წარმოება. საქართველომ შეძლო ქვეყნის შიგნით სტაბილურობისათვის მიეღწია

და რადიკალური რეფორმების გზას დადგომოდა. საქართველომ განაცხადა სურვილი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისა, მიაღწია შეთანხმებას საქართველოდან რუსეთის სასაზღვრო ჯარებისა და სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე. ქვეყანამ შეიძინა მნიშვნელოვანი სატრანზიტო ფუნქცია კასპიის და შუა აზიის ნავთობისა და გაზის ევროპისათვის მიწოდებისათვის.

რუსეთის მმართველი ელიტის შეფასებით, ეს ყველაფერი ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ეროვნულ ინტერესებს. საქართველოს მიერ აღებული კურსი უნდა დამუხრუჭებულყო. პანკისის ხეობის ირგვლივ განვითარებული მოვლენების წამყვანი მიზეზი სწორედ ეს გარემოება გახდა.

რუსეთში დაიწყო მასირებული და მიზანმიმართული პროპაგანდისტული კამპანია საქართველოს წინააღმდეგ. მისი ლაიტმოტივი იყო – საქართველო ეხმარება ჩეჩენ სეპარატისტებს რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. „პანკისი რუსეთისათვის ზურგში დანაა“, „შევარდნაძეს და მის ოკეანისგალმელ ბოსებს უნდათ კავკასია ერთ დიდ, სისხლიან ჭრილობად აქციონ“, „პანკისის ხეობა – ბანდიტთა თავშესაფარი“ – ასეთი განწყობა ინერგებოდა რუსეთის მასმედით.

ათასობით ჩეჩენიდან დევნილთან ერთად პანკისის ხეობაში მოხვდნენ ე.წ. „ბოევიკები“, ის ადამიანები, ვინც იარაღით ხელში იბრძოდა რუსეთის არმიის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, რუსეთის ჯარები განზრახ უხსნიდნენ დერეფანს ჩეჩენთა საბრძოლო შენაერთებს, რათა ისინი საქართველოში გადმოსულიყვნენ. მათი რაოდენობა ზუსტად ცნობილი არ იყო. პანკისის ხეობა, სადაც კრიმინოგენული სიტუაცია ომის დაწყებამდეც მძიმე იყო, პრაქტიკულად გამოვიდა საქართველოს ხელისუფლების კონტროლიდან. მაგალითად, ხეობაში მართლაც დაიდო ბინა რუსლან გელაევის შეიარაღებულმა რაზმმა, იყვნენ აგრეთვე სხვა მუსლიმანური ქვეყნებიდან ჩამოსული პირებიც.

რუსეთის ხელისუფლება საქართველოს წინააღმდეგ, გარდა პროპაგანდისტული ძალისხმევისა, კონკრეტულ და მეტად მძიმე მოქმედებაზე გადავიდა. სისტემატურად ირღვეოდა საქართველოს საჰაერო სივრცე, იბომბებოდა ხეობა და მისი მიმდებარე ტერიტორიები. იყო ადამიანის მსხვერპლიც. რუსეთის ხელისუფლებას განსაკუთრებით გაეხსნა ხელი 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ. ჩეჩენ მეთაურობებს საერთაშორისო



ტერორისტების იარლიყი მიაკრეს. მსოფლიოს კი ესმოდა, რომ „რუსეთის მცდელობა წარმოაჩინოს საკუთარი კამპანია ჩეჩნეთში, როგორც ნაწილი ინტერნაციონალური ბრძოლისა ტერორიზმის წინააღმდეგ, მიზანმიმართულად ამარტივებს სიტუაციას“. მაგრამ რუსეთმა მაინც მიაღწია მიზანს – მსოფლიო საზოგადოება დათანხმდა ეს ადამიანები განეხილა, როგორც ტერორისტები. მით უმეტეს, რომ რუსეთის და დასავლეთის პრესაში ინერებოდა, რომ ალ-ქაიდას ავღანეთიდან გამოქცეული წევრები თავს პანკისის ხეობას აფარებდნენ. გაჩნდა ვერსია უსამა ბინ ლადენის პანკისში ყოფნის შესახებ.

მსოფლიოში ზოგადი განწყობის ამ ფონზე 2002 წლის 11 სექტემბერს, ამერიკაში მომხდარი ტრაგედიის წლისთავზე, ვლადიმერ პუტინმა მუქარით აღსავსე განცხადება გააკეთა საქართველოს მისამართით. მან საქართველო დაასახელა ტერორისტულ ანკლავად, დაადანაშაულა საერთაშორისო ტერორიზმის მხარდაჭერაში, თქვა, რომ საქართველო საფრთხეს უქმნის მათ ეროვნულ უსაფრთხოებას და ღიად განაცხადა, რომ რუსეთს აქვთ სრული უფლება დაიწყოს სამხედრო ოპერაციები საქართველოს ტერიტორიაზე.

მდგომარეობა უნდა განმუხტულიყო. საქართველოს ხელისუფლებას, რომელსაც თვითონაც ჰქონდა არაერთი მცდელობა თავისი კონტროლის ქვეშ დაებრუნებინა პანკისი, დახმარების ხელი გაუწოდა დასავლეთმა. მას შემდეგ, რაც აშშ-ის ინიციატივით შეიქმნა ანტიტერორისტული კოალიცია, გადაწყდა დახმარებოდნენ საქართველოს, რომ პანკისის ხეობა არ გამხდარიყო ახალი დაძაბულობის კერა. 2002 წელს ამერიკამ გამოყო 64 მილიონი დოლარი და საქართველოში დაიწყო „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა. ამ პროგრამის მიზანი იყო საქართველოს ანტიტერორისტული სამხედრო ძალის შექმნა, ძირითადი სამიზნე პანკისის ხეობა იყო.

2002-2003 წელს საქართველოს ხელისუფლებამ დაიბრუნა კონტროლი პანკისის ხეობაზე. აი, რას წერდა ამის შესახებ რუსი ჟურნალისტი ანა პოლიტკოვსკაია: „ახლა იქ შევიდნენ ქართული შინაგანი ჯარების შენაერთები და არა მარტო შევიდნენ, არამედ ანტიტერორისტული ოპერაციაც ჩაატარეს (ის მართლაც ჩატარდა) და არა მარტო ჩაატარეს, არამედ „დაცვის“ დროს მოახერხეს არ გაეფუჭებინათ ურთიერთობა მოსახლეობის იმ ნაწილთან, ვინც არ იყო ჩართული კრიმინალში. ეს ის თვისებაა, რომელიც დიდ ხანია

დაკარგეს რუსეთის ფედერალებმა ჩეჩნეთში“.

გაჩნდა იმედი, რომ მოიხსნებოდა რუსეთთან ურთიერთობაში დაძაბულობის ერთ-ერთი კერა. მაგრამ მიუხედავად ომის დასაწყისში გაკეთებული განცხადებებისა, რომ ჩეჩნეთის ომი დამთავრდა სრული გამარჯვებით, ათი წლის მერეც ჩანს, რომ ეს ომი არ დამთავრებულა. ის გრძელდება ამბოხებულთა წინააღმდეგობით. თავისი მარცხის გასამართლებლად რუსეთი მუდმივად, მთელი ამ ხნის განმავლობაში, საქართველოს სდებს ბრალს, რომ აქ ჩეჩენ ბოევიკებს აქვთ ბაზები.

ამრიგად, ამ შემთხვევაში ჩრდილო კავკასიის ფაქტორი რუსეთის მხრიდან საქართველოს დისკრედიტაციისა და მასზე ზეწოლითავეს გამოიყენება.

### **„მშვიდობიანი კავკასია“**

90-იანი წლების შუა პერიოდში, როდესაც პირველი ჩეჩნური კამპანია ე.წ. „ხასავიურტის ხელშეკრულებით“ დასრულდა, ხოლო სამხრეთ კავკასიაში დაპირისპირებულ ძალებს შორის დროებითი, მყიფე ბალანსი დამყარდა, კვლავ გააქტიურდა იდეა საერთო კავკასიური თანამშრომლობისა, რასაც რეგიონში სტაბილურობის საფუძველი უნდა შეექმნა. ბუნებრივია, რომ ყველა რეგიონული აქტორი ამ იდეას თავისი პოლიტიკური ინტარესებისა და მისწრაფებების მიხედვით მოიაზრებდა.

პირველი ამგვარი ინიციატივა საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ 1996 თებერვალში წამოაყენა. ინიციატივას „მშვიდობიანი კავკასია“ ეწოდა. იგი რეგიონში სტაბილურობისა და თანამშრომლობის ექვსი ძირითად პრინციპზე დაფუძნებას გულისხმობდა: 1. ტერიტორიული მთლიანობა და არსებული საზღვრების ხელშეუხებლობა; 2. ადამიანის უფლებების დაცვა ყველგან და ყველაფერში; 3. სატრანსპორტო და სხვა კომუნიკაციების დაცვა და მათი ბლოკირების არდაშვება; 4. თანამშრომლობა ბუნების დაცვასა და სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციისას; 5. ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობა, ნაციონალიზმისა და ქსენოფობიის ყველა ფორმის უარყოფა; 6. ყოველმხრივი მხარდაჭერა კავკასიაში ინვესტიციებისა და საერთაშორისო პროექტებისა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ინიციატივა საერთო-კავკასიურ თანამშრომლობაში ჩრდილო კავკასიის

აქტიურად ჩაბმასაც გულისხმობდა.

ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა რეგიონისა და მეზობელი სახელმწიფოების უკლებლივ ყველა ლიდერმა. უფრო მეტიც, თურქეთის პრეზიდენტმა ს. დემირელმა კავკასიის სტაბილურობის თაობაზე სპეციალური მრავალმხრივი შეთანხმების გაფორმების წინადადება წამოაყენა, ხოლო აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელმძღვანელები კავკასიის ეუთოს შექმნის იდეით გამოვიდნენ. მოგვიანებით კავკასიაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის სისტემის შექმნის პერსპექტივით დაინტერესება აშშ-მ და ევროკავშირმაც გამოხატეს.

რუსეთის ხელმძღვანელობამ ახალი ინიციატივების მიმართ თავიდანვე აქტიური პოზიცია დაიკავა. მისი ამოცანა სრულიად ცხადი იყო — საერთო-კავკასიური თანამშრომლობის მოქცევა მოსკოვის ქოლგის ქვეშ და ამ მიზნით მისი შემოფარგვლა მხოლოდ რეგიონის შიდა აქტორებით. თუმცა ყველა სხვა ინიციატივის ავტორი, როგორც წესი, საერთო-კავკასიურ ფორმატში, როგორც პრობლემებზე დისკუსიის, ისე პრაქტიკული თანამშრომლობის მონაწილეებად, სხვა დაინტერესებულ მხარეთა (რეგიონის მეზობელი თურქეთი და ირანი; ასევე აშშ და ევროკავშირი) აუცილებელ და აქტიურ ჩართვას გულისხმობდა.

1996 წლის 3 ივნისს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიწვევით კისლოვოდსკში რუსეთის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტების, ე.წ. „კავკასიური ოთხეულის“ შეხვედრა გაიმართა. მასში მონაწილეობისათვის ჩრდილო კავკასიის 12 რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის (ჩეჩნეთის გარდა) ხელმძღვანელებიც მიიწვიეს. შეხვედრაზე ხელი მოაწერეს დეკლარაციას „კავკასიაში ერთა შორის თანხმობის, მშვიდობის, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ“. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა საერთო-კავკასიური პრობლემატიკის თაობაზე დისკუსიისას ჩრდილო კავკასიელთა ხმაც გაისმა.

შეხვედრა იმავე ფორმატით 1997 წელს გამეორდა, ხოლო 2000 წლიდან მან ოთხმხრივი სახელმწიფოთაშორისი კონსულტაციების სახე მიიღო, სადაც ჩრდილოკავკასიელთა წარმომადგენლები აღარ მიუწვევიათ.

მართალია, „მშვიდობიანი კავკასიის“ იდეის და სხვა მომდევნო ინიციატივათა რეალიზაციის საქმე პოლიტიკურ განცხადებებს ვერ გასცდა, საერთო-კავკასიურ ფორმატში თანამშრომლობის იდეა

იყო და დღესაც რჩება ჩრდილო კავკასიის საკითხებზე რუსეთისა და დაინტერესებული საერთაშორისო პარტნიორების, მათ შორის საქართველოს, კონსტრუქციული თანამშრომლობის პლატფორმის ფორმირების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად.

## **2008 წლის ომი და ჩრდილოეთი კავკასია**

2008 წლის ე.წ. „ხუთდღიანმა ომმა“ და მისმა შედეგებმა (საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის მიერ), ბუნებრივია, თავისი ანარეკლი ჰპოვა ჩრდილოეთ კავკასიაშიც. აქ ორ მომენტს გამოვყოფდით: პირველი – ჩრდილო კავკასიელთა მონაწილეობა კონფლიქტში და მეორე – თავად კონფლიქტისა და მისი შედეგების ზეგავლენა რუსეთის სამხრეთზე.

2008 წელს საქართველო სამხრეთ ოსეთში რუსეთთან დაპირისპირებით კვლავ დაუპირისპირდა ჩრდილოეთ კავკასიას. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ომის დაწყებისთანავე მასში მონაწილეობდნენ ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლები და ორი ჩეჩენური ქვედანაყოფი („ვოსტოკი“ და „ზაჰადი“, რომლებიც „გრუს“ ფორმირებული იყო). გარდა ამისა, ჯერ კიდევ ომამდე, ორ აგვისტოს, კოკოითის განცხადებით, მან მიიღო ჩრდილო კავკასიელთაგან მხარდაჭერის დაპირება. ამის შემდეგ, რამდენიმე დღეში, თავად ცხინვალის მთავრობამ განაცხადა, რომ მზად იყო სრული მობილიზაციის გამოცხადებისათვის და ასევე ჩრდილო კავკასიელთაგან მოხალისეების შეკრების მოთხოვნისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ეს დაპირებები და მოწოდებები უბრალო სიტყვებად არ დარჩენილა და, შეიძლება ითქვას, თითქმის მთელ ჩრდილო კავკასიაში ხდებოდა მოხალისეთა შეკრება. თუმცა აღსანიშნავია, რომ მობილიზაცია არ იყო იმავე მასშტაბისა, როგორც ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისის კონფლიქტებისას. ერთ-ერთი რუსი ჟურნალისტი, ივან სუხოვი, მიიჩნევს, რომ აღმსარებლობითი სხვაობის გამო ჩრდილოკავკასიელი მოსახლეობისათვის ეს იყო სხვათა ომი. მოხალისეთა შეკრება კი, მისი აზრით, მეტყველებს, ერთი მხრივ, ადგილობრივ პოლიტიკოსთა მხრიდან კრემლის მიმართ საკუთარი ლოიალობის დამტკიცების სურვილზე, ხოლო მეორე მხრივ კი იმაზე, რომ ჩრდილოეთი კავკასია ჯერ კიდევ წარმოადგენს რეგიონს, სადაც შეიძლება

შეიკრიბოს და გადაადგილდეს შეიარაღებულთა ჯგუფები, რომელთა მაკონტროლებელი ორგანოც გაურკვეველია.

გარდა სამხედრო მონაწილეობისა, ჩრდილო კავკასია კონფლიქტში მრავალი სხვა მიმართულებით იყო ჩართული. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე რუსეთის სამხრეთის თითქმის ყველა რესპუბლიკაში ხდებოდა ევაკუირებულთა მიღება. ევაკუირებულებს ომის დაწყებისთანავე ლტოლვილები ეწოდათ. ჩრდილოეთ კავკასიაში, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ჩრდილოეთ ოსეთში, მთელი სამხედრო კონფრონტაციის პერიოდში მიმდინარეობდა დაჭრილების ევაკუირება. ჩრდილო კავკასიიდან ხდებოდა ჰუმანიტარული დახმარების ტრანსპორტირება სამხრეთ ოსეთში. ყაბარდო-ბალყარეთიდან იქნა გამოგზავნილი სპეციალისტები ცხინვალში ელექტროსარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად ომის დასრულების შემდეგ.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ რუსეთი ეცადა ცხინვალის რეგიონში კონფრონტაციით, სხვა ამოცანების გადამწყვეტასთან ერთად, საქართველოსა და ჩრდილო კავკასიას შორის დაპირისპირებაც გამოეწვია.

ამასთან, აგვისტოს ომმა სხვა ტენდენციებიც წარმოშვა. რუსეთის სამხრეთში, სადაც ძლიერია ანტირუსული განწყობილებები, ბუნებრივია, შეუძლებელია ყოფილიყო ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება კონფლიქტის მიმართ. ომის დაწყების წინ ჩეჩნეთის მოსახლეობაში საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები გაჟღერდა. ასევე რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებებისაკენ მოუწოდეს ჩრდილო კავკასიელებს „იმარატ კავკაზიდან“, რომლებმაც გამოთქვეს მზადყოფნა საქართველოს მთავრობის თხოვნის შემთხვევაში მხარი დაეჭირათ მისთვის კონფლიქტის მიმდინარეობისას. მათი განცხადებით, სამხრეთ ოსეთის მხარეს, ჩრდილო კავკასიელთა მონაწილეობის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია რუსული „პროპაგანდის“ ნაწილი იყო. თავის მხრივ, მათი ამგვარი განცხადება კონფლიქტში ჩარევის მზადყოფნასთან დაკავშირებით, ჯეიმსთაუნის ფონდის მკვლევარის ანდრეი სმირნოვის შეფასებით, წარმოადგენდა სურვილს, „იმარატ კავკაზი“ ყოფილიყო აღიარებული დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად და არა ისლამურ-ტერორისტულ დაჯგუფებად.

აღსანიშნავია, რომ ომმა გამორჩეული გამოხმაურება ჰპოვა ინგუშეთში, სადაც არ გამოუთქვამთ რაიმე სახის თანაგრძნობა

ოსეთიდან ევაკუირებულთა მიმართ და, შეიძლება ითქვას, პირიქითაც მოხდა. როგორც „კავკასკი უზელი“ იუნყება, ინგუშებს ომმა 1992 წლის კონფლიქტი გაახსენა ჩრდილოეთ ოსეთთან. ამდენად, ინგუშეთში, ყველა სხვა ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკისაგან განსხვავებით, სამხრეთ ოსეთიდან არც ლტოლვილები მიუღიათ.

როგორც ჩანს, განწყობილებები საკმაოდ წინააღმდეგობრივია, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ჩრდილოეთი კავკასია ძალიან რთული რეგიონია, იქ არსებული მრავალი ეთნოსის, მათი განსხვავებული ისტორიული გამოცდილებისა და მკვეთრად დიფერენცირებული სოციალური ფენების გამო.

### **ავგისტოს ომის ზეგავლენა ჩრდილოეთ კავკასიაზე**

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი არ ყოფილა, თუნდაც ნაწილობრივ, რაიმე ახალი პროცესის კატალიზატორი. მან მხოლოდ არსებული მოვლენებისა და ტენდენციების კიდევ ერთი დამატებითი მუხტის წყაროს ფუნქცია შეასრულა.

ის, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას არ გამოუწვევია ზეგავლენის რეაქცია ჩრდილო კავკასიაში დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნით, კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ სეპარატისტული იდეები რეგიონში ნაკლებად აქტუალურია. როგორც ჩანს, ამ მომენტის გათვალისწინებამაც შეუწყო ხელი იმას, რომ რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების ნაბიჯი ასე თამამად გადადგა.

მიუხედავად იმისა, რომ ავგისტოს ომის შემდეგ გარკვეული გააქტიურება შეიმჩნეოდა ინგუშეთში, მაინც რთულია ამ პროცესის უშუალოდ დაკავშირება „ხუთდღიან ომთან“.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეაქცია, რომელიც გამოიწვია ამ ახალი სახელმწიფოების გაჩენამ რეგიონში, დაკავშირებულია მათთვის ეკონომიკური დახმარების განწვევასთან. როგორც ერთი, ისე მეორე რეგიონი მთლიანად რუსეთიდან გამოყოფილი დოტაციების ხარჯზე არსებობს. ამიტომ რუსეთში ისედაც არსებულ უკმაყოფილებას დაემატა განცდა, რომ სახელმწიფოს კიდევ ორი შავი ხვრელი გაუჩნდა.

რუსეთში ჩრდილო კავკასიისადმი ჩამოყალიბებული და ფრთხილი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა აისახა იმ ფაქტშიც,



რომ რუსულ მედიაში იმ პერიოდში არაერთხელ გაიჟღერა ფრაზა „რუსეთი მხარს უჭერს ერთმორწმუნე ოსებს“ (არავის გახსენებია ქართველების ერთმორწმუნეობა), რაც, როგორც ა. მალაშენკო მიიჩნევს, ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ ჩრდილოკავკასიელ მუსლიმებს.

### **როგორ აღიქმება ჩრდილო კავკასია რუსეთში?**

რუსეთის ხელისუფლება ჩრდილო კავკასიას განიხილავს, როგორც რუსეთის ფედერაციის განუყოფელ ნაწილს, თუმცა, ამავედროულად, ეს რეგიონი, ობიექტურად, მისი ეროვნული ინტერესებისათვის ერთ-ერთი უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენს.

აქვე უნდა აღინიშნოს, თუ როგორ ხდება ჩრდილო კავკასიის ხატის ექსპლუატირება რუსეთის ხელისუფლების მიერ.

პუტინის პრეზიდენტობისას ჩრდილო კავკასიას წარმოსახავენ, როგორც რუსეთის „სუსტ ნერტილს“, რომლის დამუხტვაც მუდმივად ხდება ქვეყნის გარედან (კონკრეტული ქვეყნები პირდაპირ თითქმის არ სახელდება, თუმცა ცდილობდნენ წარმოეჩინათ, რომ სეპარატიზმისა და რელიგიური რადიკალიზმის საფუძველი ქვეყნის შიგნით არ არსებობს და მათი თავს მოხვევა გარედან ხდებოდა).

შეხედულებები გარკვეულწილად შეიცვალა 2009 წლიდან, როდესაც 9 ივნისს პრეზიდენტმა დ. მედვედევმა მაჰაჩყალაში რეგიონში უმთავრეს სირთულედ „სისტემური პრობლემები“ დაასახელა: კლანურობა, კორუფცია, უმუშევრობა, სიღატაკე და სხვ. ამდენად, დღეს რუსეთის ხელისუფლება ჩრდილო კავკასიას განიხილავს, როგორც განაპირა რეგიონს, რომელიც ჩაძირულია ზღვარსგადასულ კორუფციაში, კლანურობაში და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონულ დონეზე ყველა ჩინოვნიკი, პირველი პირების ჩათვლით, ცენტრიდან ინიშნება, კრემლი მაქსიმალურად ცდილობს თავი აარიდოს პასუხისმგებლობას რეგიონის პრობლემებზე.

აღსანიშნავია, რომ კრემლის ამგვარი მიდგომა უპირისპირებს ჩრდილო კავკასიელებს რუსეთის დანარჩენ მოსახლეობას. გამოდის, რომ კავკასიელები არიან კორუმპირებული და სურთ იცხოვრონ დანარჩენი რუსეთი ხარჯზე, რომელიც, თავის მხრივ, იტანჯება მათი უკანონობით მაშინ, როცა მრავალ კანონდარღვევას თავად ცენტრი არ აღკვეთავს.

რაც შეეხება თავად რეგიონს, რუსი ექსპერტების აზრით, ყველა რესპუბლიკა, მათ შორის იქ მოქმედი ოპოზიცია და სამოქალაქო საზოგადოებაც, ჩრდილო კავკასიას რუსეთის ნაწილად აღიქვამს. დაღესტანში თითქმის ოფიციალურ ლოზუნგად არის გავრცელებული პოეტ რასულ გამზათოვის სიტყვები: „დაღესტანი არასოდეს არ შესულა რუსეთში თავისი ნებით და თავისი ნებით იქიდან არ გამოვა“. ექსპერტთა აზრით, ერთადერთი ჯგუფი, რომელიც რუსულ რეალობას ეწინააღმდეგება, არის რადიკალ-ისლამისტთა დაჯგუფება და მათი რაოდენობა სულ უფრო მეტად იზრდება.

რეგიონის მიღმა რუსული საზოგადოების განწყობა ჩრდილო კავკასიისადმი საკმაოდ ფრთხილია, რაც მინიმუმ 3 ფაქტორით არის გამოწვეული: პირველი — ჩრდილოეთ კავკასიის არასტაბილურობა და ის, თუ რა რეაქციაა მასზე მედიასა და ხელისუფლებაში, რაც იწვევს ირაციონალურ შიშს საზოგადოებაში; მეორე — ტენდენციები რეგიონის ეთნიკურ სტრუქტურაში, რომლთა გამოც რუსულ საზოგადოებას უჭირს აღიქვას ჩრდ. კავკასია „საკუთარ რეგიონად“; მესამე — საზოგადოების ურწმუნოება, რომ ხელისუფლებას შესწევს უნარი შეცვალოს რეგიონში ვითარება. მაგ., 2010 წლის სეტემბერში, ლევადა-ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, გამოკითხულთა მხოლოდ 12 პროცენტს სჯერა, რომ რუსეთის ხელისუფლება უახლოეს მომავალში შეძლებს პრობლემების მოგვარებას; 27 პროცენტი მიიჩნევს, რომ საერთოდ შეუძლებელია რაიმეს შეცვლა; 38 პროცენტი – რომ რეგულირებას მრავალი წელი დასჭირდება, მათ შორის 65 პროცენტი მდგომარეობას „უკიდურესად დაძაბულად“ აფასებს.

## **მორალური დილემა**

საინტერესოა და ამაზე ექსპერტებიც თანხმდებიან, რომ კრემლისათვის პრობლემა დღეს მორალური ხასიათისაც არის. ანუ კითხვაზე, თუ რატომ არ დაანებებს რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიას თავს და არ დატოვებს რეგიონს, ერთ-ერთი პასუხი ასეთია, რომ დღეისათვის რუსეთმა უკან დასახევი ყველა გზა მოიჭრა, მათ შორის – მორალურიც, აურიეს იქ ყველაფერი და ახლა შეატოვონ პრობლემებს, რომლებმაც შესაძლოა გაანადგუროს რეგიონი?!



## დასკვნა

ექსპერტთა აზრით, ჩრდილოეთი კავკასია ვერ გახდა რუსეთის ბუნებრივი ნაწილი. მას ხშირად „შიდა საზღვარგარეთსაც“ უწოდებენ. რუსეთმა ვერ შეძლო ამ რეგიონის ინტეგრირება საკუთარ სახელმწიფოებრივ სხეულში. ამის მიზეზია ამ რეგიონსა და რუსეთს შორის რეალურად არსებული ცივილიზაციური განსხვავება, რის გადალახვასაც ხელს უშლის სამოქალაქო საზოგადოების სისუსტე რეგიონში, მისი ჩამორჩენა ეკონომიკური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით, რელიგიური ექსტრემიზმის მზარდი ფაქტორი. რეგიონში ასევე უმწვავესია მენტალური მოდერნიზაციის პრობლემა, რაც აისახება შიდა ეთნიკურ ქიდილში, შედეგად – შიდა საზღვრების დაურეგულირებლობაში, რუსეთისადმი რეგიონის შეურიგებლობაში.

რეგიონის მიმართ ცენტრის არაეფექტური პოლიტიკის ერთ-ერთი მიზეზი ასევე კულტურულ-მენტალურია. არც რუსეთისათვის გახდა ჩრდილო კავკასია მისი ორგანული შემადგენელი ნაწილი. რუსებს, ძირითადად, არა აქვთ თანამოქალაქეობის განცდა ჩრდილო კავკასიელების მიმართ. მოსკოვის მეტროს გახმაურებული ტერაქტის დროს არავის, დაწყებული პრეზიდენტ მედვედევიდან, არ გამოუთქვამს წუხილი, რომ 18 წლის ახალგაზრდა ქალები, რომლებმაც თავი აიფეთქეს, ასევე რუსეთის მოქალაქეები იყვნენ.